



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,  
ელ. ფოსტა: [tsagerisakrebulo@gmail.com](mailto:tsagerisakrebulo@gmail.com)

## ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 7  
06/02/2019

7-06-4-201902061527



ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №39-ში მდებარე მუსიკალური სკოლის შენობის (ს.კ. 89.03.24.001) ფართის ნაწილის, შენობის პირველ სართულზე მდებარე გასაქირავებელი 72 კვ.მ. ფართის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის შესაბამისად და ი/მ „ომარი დოლონადის“ (პ/ნ 60001044858) 2018 წლის უძრავი ქონების საწყისი საიჯარო ღირებულების შეფასების შესახებ დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების-ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №39-ში მდებარე მუსიკალური სკოლის შენობის(ს.კ. 89.03.24.001) ფართის ნაწილის, შენობის პირველ სართულზე გასაქირავებელი 72 კვ.მ. ფართის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემის თაობაზე.
2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების-ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №39-ში მდებარე მუსიკალური სკოლის შენობის (ს.კ. 89.03.24.001) ფართის ნაწილის, შენობის პირველ სართულზე მდებარე გასაქირავებელი 72 კვ.მ. ფართის წლიურ საწყის საიჯარო

ქირად განისაზღვროს 1440 (ათასოთხასორმოცი) ლარი. თანხის ჩარიცხვა მოხდეს ერთჯერადად, ყოველი წლის 20 ნოემბრამდე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა



საკრებულოს თავმჯდომარე  
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო